აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
27 ივლისი, 2017

დადგენილება №53 (16/17)
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 11 მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ ქვემოთ ჩამოთვლილ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილ იქნას ცვლილება შემდეგი სახით:

მეთორმეტე თავს დაემატოს მეექვსე პუნქტი შემდეგი რედაქციით: შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდული წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

1. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი;
2. ბიბლიოთეკარი;
3. საბაჟო საქმის სპეციალისტი;
4. სარეკლაო აგენტი;
5. სასტუმრო საქმის სპეციალისტი;
6. ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი;
7. დეკორაციულ - გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი;
8. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი;
9. ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი;
10. სისტემების ადმინისტრატორი;
11. სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი.

აღნიშნული ცვლილება ასახულ იქნას თერთმეტივე პროგრამის თითოეული მოდულის 3.9. პუნქტში.

საფუძველი: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება #199, 20.03.2017. შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებები.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე